



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ენგური



მდინარე ენგური

ენგური, მდინარე დას. საქართველოში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე და კოლხეთის ბარში, მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდისა და გალის მუნიციპალიტეტებში. სიგრძე 213 კმ, აუზის ფართ. 4060 კმ². ე. წარმოიქმნება შხარის, ნამყვამისა და ენგურ-უხვანის მყინვარებიდან გამომდინარე რამდენიმე ნაკადის შეერთებით. ე-ის აუზის წილად მოდის საქართვ. მყინვარების საერთო რაოდენობის 38% და ფართობის 57,7%. ხეობაში განლაგებულია საქართვ. უდიდესი მყინვარები: ლეხტირი, ნანერი, ჭალაათი, ადიში, ხალდე და სხვ. ე. სოფ. ანაკლიასთან ერთვის შავ ზღვას. მისი მთავარი შენაკადებია: მარჯვენა - ადიშქალა, ხალდექალა, მულხრა, დოლრა, ნაკრა, ნენსკრა; მარცხენა - ხაიშურა, ხუმფურერი, ლასილი, მაგანა, ჭუმი და სხვ. ე. ზემო წელში კვეთს სვანეთის ქვაბულს, შემდეგ კი ღრმა და ვიწრო ხეობაში მიედინება. მდინარის კალაპოტი ზემო და შუა დინებაში ჭორომიანია. ქ. ჭვართან ე. გამოდის კოლხეთის დაბლობზე. სოფ. რუხთან იყოფა ორ ტოტად, რ-თა შორის მოქცეულია 12 კმ სიგრძისა და 0,5-2,0 კმ სიგანის კუნძული, რ-ზეც გაშენებულია სოფ. შამგონა. ე. შერეული საზრდოობის მდინარეა: ზემოთში წლ. ჩამონადენის 66%-ს შეადგენს თოვლისა და მყინვარის წყალი, 22%-ს - გრუნტის წყალი, 12%-ს - წვიმის წყალი; ქვემოთში, შესაბამისად - 18%, 26% და 56%-ს. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი სოფ. ხაიშთან 109 მ³/წმ შეადგენს. ზემოთში ე-ს იყენებენ ხეტყის დასაცურებლად, ქვემოთში - ენერგეტ. მიზნებისათვის და სარწყავად. მდინარეზე აგებულია ჭვრის წყალსაცავი და „ენგურჰესი“. ე-ის წყლის დიდი ნაწილი ენგურჰესის დაწნევითი

დერივაციული გვირაბით ჩაედინება გალის წყალსაცავში.

6. უკლება
